საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევები 1918-1921 წლებში

ირაკლი ლეონიძე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული ფაკულტეტის
მაგისტრატურის სტუდენტი

ხატია ლეონიძე
ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ბაკალავრიატის სტუდენტი

აბსტრაქტი

2021 წელს, საქართველო დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა. ეს წელი არაერთი მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღითაა საინტერესო. საქართველოს კონსტიტუციის მიღებიდან ასი წლის შემდეგ - ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს უფრო მეტი დრო და შესაძლებლობლობა გვაქვს, დავფიქრდეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევებსა და სახელმწიფოს ძალმომრეობით აღსასრულზე.

ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებული გარე-საერთაშორისო და შიდა სადავო საკითხები, რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საუარესოდ აღმოიფხვრა, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, კვლავ აქტუალური და კრიტიკულია.

აუცილებელია, პასუხი გაეცეს შეკითხვას (ჰიპოთეზა): რამდენად დამახასიათებელია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისა და შესაძლო დარღვევის ზოგადი პრობლემა?

კონკრეტულად, რა სახის: სამართლებრივ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და მორალურ დილემას აწყდება ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ - იმისთვის, რომ შეინარჩუნოს ტერიტორია და დამოუკიდებლობა.

1918-1921 წლების მდგომარეობის შესწავლით შესაძლებელია გაირკვეს ტერიტორიის ანექსიის, მისი ნაწილის ოკუპაციის ან საომარი მდგომარეობის გავლენა თავდაცვის ძალების მოქმედებებსა და რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობაზე, უპირატესად, 1921 წელს მიმდინარე მოვლენათა დაკვირვების მაგალითზე, როგორც პრობლემის წარმოშობის პირველწყაროზე.

კვლევის მიზანია, შევაფასოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევები 1918-1921 წლებში. ამიტომ, მიმოხილული იქნება რესპუბლიკის ტერიტორიის საერთო ფართობის ცვლილების საკითხი, მათ შორის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის გავლენა სახელმწიფოს ტერიტორიული ინტერესის სასიკეთოდ - მთლიანობის შესანარჩუნებლად. გაირკვევა თუ რა უქმნის საფრთხეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. არის თუ არა პრობლემის გამომწვევი მიზეზი სტრატეგიული მდებარეობა, არაკეთილმეზობლური დამოკიდებულებები ან პოლიტიკური მმართველობის სისუსტე. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებულია ისტორიული, შედარების, ანალიზის და სინთეზის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები:
რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა, ტერიტორია, არმია, მთავრობა, ანექსია, ოკუპაცია.

CHALLENGES OF TERRITORIAL INTEGRITY OF THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA IN 1918-1921

IRAKLI LEONIDZE
TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW
GRADUATE STUDENT

KHATIA LEONIDZE
BATUMI STATE UNIVERSITY
FACULTY OF LAW AND SOCIAL SCIENCES
UNDERGRADUATE STUDENT

ABSTRACT

In 2021, Georgia is the independent state. This year is unique with a number of important anniversary dates. One hundred years after the adoption of the Constitution of Georgia - we, the citizens of Georgia, have more time and opportunity to think about the challenges to the territorial integrity and political independence of the Democratic Republic of Georgia.

International and internal disputes related to territorial integrity have resolved since the fall of the Republic, and have remained relevant and critical since the independence of Georgia.

It is necessary to answer the question: how typical is the general problem of maintaining territorial integrity? Specifically, what kind of legal, political, social, cultural and moral dilemma does our state face after gaining independence - in order to maintain its territory and independence.

In this regard, it is important to study the political situation in 1918-1921. In this way, it is possible to identify the impact of the annexation of the territory, the occupation of part of it, or the state of war on the issue of territorial integrity, preferably by the example of observation of individual events in 1918-1921 as the primary source of the problem.

The aim of the research is to assess the challenges of the territorial integrity of the Democratic Republic of Georgia in 1918-1921. On the one hand, the issue of changing the total area of the Republic will be discussed, including the impact of the First Constitution of the Republic for the benefit of the Republic - to maintain its territorial integrity. It will be clear what threatens the territorial integrity of Georgia. Whether the cause of this problem is strategic location, unfriendly attitudes or weakness of political governance. Historical, comparison, analytical and synthesis methods are used to achieve aim of the research.

KEYWORDS:
Democratic Republic of Georgia, Independence, Territory, Army, Government, Annexation, Occupation.

შესავალი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გამოწვევები 1918-1921 წლებში ერთ-ერთი საინტერესო საკითხია, რომელიც დაგვაფიქრებს რესპუბლიკის ტერიტორიის კონსტიტუციურ მნიშვნელობაზე,[1] სადაც გავრცელდა საქართველოს სახელმწიფოებრიობა და შემდგომში ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების შედეგად განადგურდა უცხო სახელმწიფოთა არმიების თავდასხმის შედეგად.[2]

საკითხის შესწავლა დღემდე არ კარგავს აქტუალობას, რადგან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა პირველი რესპუბლიკის აღსასრულიდან 100 წლის შემდეგ კვლავ დარღვეულია.[3] შესაბამისად, მნიშვნელოვანია წახალისდეს ის კვლევები, რაც ხელს შეუწყობს ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემების ისტორიულ-პოლიტიკური საწყისების შეფასებას, თავდაცვის მნიშვნელობის გააზრებასა და კონკრეტული დასკვნების წარმოდგენას დღეს არსებულ გამოწვევათა საპასუხოდ.

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი 1918-1921 წლებში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა პირველი მსოფლიოს ომის მიწურულსა და იმპერიათა რღვევის დასაწყისში ჩამოყალიბდა. ამ დროს: უკონტროლო საზღვრები, უცხო სახელმწიფოს არმიის გადაადგილება და დაპყრობითი მიზნის განხორციელება - ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა.[4]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩამოყალიბებით ორ გუბერნიაში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულები რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის განუყოფელ ნაწილად ჩამოყალიბდნენ. 1918 წლიდან ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორია აითვლის ახალ ისტორიას, სადაც სახელმწიფო მოიცავს საქართველოს ისტორიულ მხარეებს სხვადასხვა სამართლებრივი სტატუსით. მაგალითად, რესპუბლიკის კონსტიტუციით ჩამოყალიბდა ავტონომიური მმართველობის მქონე სამი ერთეული, ხოლო რესპუბლიკის ტერიტორია დაიყო ადმინისტრაციული მართვის თვალსაზრისით.[5]

რესპუბლიკის მთავრობისა და არმიის მოქმედებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ეროვნული ინტერესის დასაცავად სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო, რესპუბლიკის არმიას არ გაძნელებოდა გადაადგილება და აღჭურვილი ყოფილიყო ყველა საჭირო საბრძოლო რესურსით, მათ შორის სურსათ-სანოვაგის მომარაგებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1921 წლის იანვრისთვის რესპუბლიკის ტერიტორია დაახლოებით 107 600 კმ2-ს შეადგენდა და, რომლის 35% რესპუბლიკის დაცემის შემდეგ გაილია სხვა სახელმწიფოთა სასარგებლოდ, მაშინ ცხადი იქნება ამ ტერიტორიის დაცვასთან დაკავშირებული გამოწვევები: სარკინიგზო ქსელის გამართულობის, ზოგადი შეიარაღების, საბრძოლო სულისკვეთების, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და სეპარატიზმის აღკვეთის შესახებ.[6]

დამოუკიდებლობის მოპოვებამ წარმოშვა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების აუცილებლობა. იყო სისუსტეები, მოქმედებების ნაკლოვანება, იმედგაცრუება და ბოლოს, რესპუბლიკის დაცემა, თუმცა ნათელია ის, რომ 1918-1921 წლებში რესპუბლიკა მაქსიმალურად ცდილობდა შეენარჩუნებინა ტერიტორიული მთლიანობა და ეს მცდელობა ქართული სახელმწიფოებრიობის თავდაცვის და სამწლიანი რესპუბლიკური მმართველობის ისტორიაა. შესაბამისად, ფაქტი, რომ რესპუბლიკა არსებობდა, საკმარისია ამ მოვლენის გასააზრებლად, მიუხედავად, ამ უკანასკნელის მცირეწლიანობისა. აქვე, დავასახელოთ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ზოგადი პრობლემები:

1. ანტანტის წევრი სახელმწიფოების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული ინტერესის მიმართ. ასევე, რუსეთში შექმნილი ბოლშევიკური რეალობა;
2. ცენტრალური ძალების წევრი სახელმწიფოების დამოკიდებულება რესპუბლიკის დამოუკიდებლობის

1 იხ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, 21/02/1921, მე-6 მუხლი.

2 შენგელია, ჭელიძე, „1918-1921 წლების საქართველო პიტერ სკინერის წიგნში „საქართველო: მიწა კავკასიონის ქვემოთ“, შრომების კრებული, (2018) : 25-26.

3 ავტორთა კოლექტივი. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, შპს „პეტიტი“, 2013, 324.

4 იხ. ვარდოსანიძე, სერგო / გურული, ვახტანგ / ხარაძე, კობა / ჯიქია, ლევან. საქართველოს საზღვრები (1917-1938), ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბილისი, „მერიდიანი“, 2014, 6-10.

5 მაცაბერიძე, მალხაზ. საქართველოს პოლიტიკური სისტემა, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 121.

6 სილაქაძე, „როგორ შეიქმნა საქართველოში სახალხო გვარდია 1918 წელს“, ისტორიანი, №5(89), (2018) : 35-36.

მიმართ: გერმანიის იმპერიის როლი, ოსმალეთის იმპერიის დამოკიდებულება, შემდგომში ქემალისტური თურქეთის საბრძოლო მოქმედებები;

3. ერთა ლიგის აღქმა რესპუბლიკის აღიარებასა და გაერთიანების წევრობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;

4. რესპუბლიკის რესურსები და ამ რესურსების გამოყენების შესაძლებლობები მეზობელ სახელმწიფოებთან მიმდინარე საომარი კონფლიქტების პერიოდში;

5. წითელი არმიის მოქმედებები რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აცნობიერებდა მტრულად განწყობილ მეზობელ სახელმწიფოთა გარე ზემოქმედების საფრთხეებს ამიტომ, კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებით ცდილობდა დროულად დაედგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული განუყოფლობის დღის წესრიგი.[7] იხ. რუკა:[8]

რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის ნორმებით დაფუძნდა სახელმწიფოს ძირითადი გამოხატულება, თუმცა აღნიშნული მალევე, კონსტიტუციური სინამდვილიდან ისტორიის საკუთრებად გადაიქცა.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და ფართობის ცვლილების საკითხი 1921 წლის შემდეგ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის შემდეგ საქართველო „უძღები შვილის ბედით სნეული“ აღმოჩნდა. არავის სურდა და არავინ ფიქრობდა ისტორიული მხარეების ახალი „წეს-წყობილების“ ფარგლებში შენარჩუნებაზე. ამიტომ, რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები, რეფორმები და კონსტიტუციური უფლებები უარყოფილ იქნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და 1921 წლის შემდეგ საერთო ფართობის ცვლილება სრულფასოვანი კვლევის საფუძველზე უნდა შეფასდეს. ამ საკითხს არაერთი სამეცნიერო სტატია ეძღვნება, თუმცა 2021 წელს, კვლავ ყალიბდება საეჭვო წარმოდგენები ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საკითხთან დაკავშირებით, რომლის საწყისი 100 წლის წინ რესპუბლიკის დაცემის შემდგომ მოვლენებში უნდა ვეძიოთ. მაგალითად, ყარსის ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა და სხვა.

7 მაგ.: იხ. ლეონიძე, „მოსაზრებები სამუსლიმანო საქართველოს სახელმწიფოებრივ კუთვნილებასთან დაკავშირებით“, მეხსიერების და დეზინფორმაციის კვლევები, IDFI, (2021).

8 წყარო: https://civil.ge/ka/archives/259235

იხ. რესპუბლიკის ტერიტორიის ადმინისტრაციული დაყოფა 1918 წლის 2 აგვისტოს კანონის მიხედვით:

N	რესპუბლიკის ტერიტორია	**რესპუბლიკის ფართობი**: 107600 კმ^2
1	თბილისის გუბერნია	**ცხრა მაზრა**: 1. თბილისი 2. დუშეთი 3. თიანეთი 4. გორი 5. თელავი 6. სიღნაღი 7. ბორჩალო 8. ახალციხე 9. ახალქალაქი
2	ქუთაისის გუბერნია	**შვიდი მაზრა**: 1. ქუთაისი 2. ახალსენაკი 3. ლეჩხუმი 4. რაჭა 5. ზუგდიდი 6. ოზურგეთი 7. შორაპანი
3	ავტონომიური მმართველობის მქონე ტერიტორიული ერთეულები	**სამი ავტონომიური ადმინისტრაციული ერთეული**: 1. აფხაზეთი (სოხუმის ოლქი) 2. სამუსლიმანო საქართველო (ბათუმის ოლქი) 3. ზაქათალა (ზაქათალის ოლქი)

რესპუბლიკის ფართობის ცვლილების საკითხი მეტად სამწუხარო და სავალალოა იმ თვალსაზრისით, რომ ლეგიტიმურად არჩეული აღმასრულებელი ხელისუფლება ემიგრაციაში აღმოჩნდა, ხოლო ადგილზე დამყარებულ საბჭოთა წეს-წყობილებას არაფერი ჰქონდა საერთო ეროვნულ ინტერესთან. შესაბამისად, სადემარკაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები გადაწყდა რესპუბლიკის ინტერესესის გათვალისწინების გარეშე და მოქალაქეთა უფლებების უგულებელყოფით. რესპუბლიკის დაცემამ გამოიწვია მოქალაქეთა შორის საზოგადო დაბნეულობა, მოიშალა თავდაცვის ძალები და გაუარესდა მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა. წითელი არმიის მოქმედებების შედეგად განადგურდა ადგილობრივი ინფრასტრუქტურა, გაიძარცვა და რუსეთში აღმოჩნდა სარკინიგზო ქსელის / ვაგონების დიდი ნაწილი. მატერიალურ დანაკლისთან ერთად რესპუბლიკამ უდიდესი ადამიანური დანაკარგი განიცადა.

მეზობელ სახელმწიფოთა მოქმედებები მიემართებოდა რესპუბლიკის ტერიტორიის მიტაცებას. დასაკუთრების მიზნით მოქმედი პარტიები და სახელმწიფო პირები, თითქოს ეროვნული ნიშნის მქონე ინტერესს მთლიანად უგულებელყოფდნენ, თუმცა სახელმწიფოები, რომლებიც უკანონოდ იღებდნენ / ეუფლებოდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს, საპასუხოდ არანაირ სიკეთეს ან ტერიტორიას არ გასცემდნენ.

3. ისტორიული გამოცდილების გაუაზრებლობის მძიმე შედეგები

21-ე საუკუნეში საქართველო ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საკითხს კვლავ მწვავედ განიცდის, მრავალი ადამიანი მშობლიურ მიწას მოწყვეტილია და შორიდან შესცქერის იმ იმედით, რომ კვლავ გამთლიანდება სახელმწიფო. როდესაც საუბარია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე უნდა დავიწყოთ იმის განზოგადება თუ რამ გამოიწვია მსგავსი შედეგების დადგომა რაც წარსულში გამოიარა სახელმწიფომ. სწორედ ამ დროს მივდივართ ლოგიკურ აზრამდე, რომ უფრო კარგად უნდა აღვიქვათ წარსულში დაშვებული შეცდომები და ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები, რათა აწმყოში მათი განეიტრალებით ან ზოგადი პრევენციით ვეძიოთ რთული მდგომარეობიდან ჭეშმარიტი გამოსავალი.

და მაინც რა არის ისტორიული გამოცდილების გაუაზრებლობის მიზეზი?! ალბათ, ის რომ საქართველომ ვერ შეძლო საერთაშორისო დონეზე და გლობალურ სამყაროში დროულად, ეფექტიანად და მიზნობრივად

გაწევრიანება და იმ პოტენციური შესაძლებლობის დანახვა რასაც ჩვენი ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება შეეძლო. მაგალითად, საერთაშორისო პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციებში გაწევრიანებისთვის მომზადება და სწრაფვა რეალური შედეგების მისაღებად იმ მიზნით, რომ სახელმწიფოს ტერიტორია უცხო სახელმწიფოს საომარი მოქმედებების შედეგად არ დანაწევრებულიყო.

აღნიშნული საკითხის სირთულეს საზოგადობაც მძიმედ განიცდის, ოკუპანტი ქვეყნის „ბრჭყალებში" მოქცეული საქართველო და საზღვრის პირას მცხოვრები საზოგადოება დღითი დღე აწყდება „მცოცავ საზღვარს", იმის მოლოდინით რომ ეს პრობლემა ერთობლივი ძალებით დროულად აღმოიფხვრება. პრობლემა რაც რესპუბლიკის დროინდელ საქართველოში იყო კვლავ მწვავეა და გამოსავალი საერთაშორისო ძალების დახმარების სწორ გამოყენებაში უნდა ვეძიოთ. ამ მხრივ უნდა დაფასდეს ის სამხედრო კავშირ-ურთიერთობები ნატოს ალიანსთან, რომელიც დიდი ძალისხმევის შედეგად წარმატებული და წარმატებიდან წევრობის მომტანიც შესაძლოა აღმოჩნდეს. არსებობს კიდევ ერთი პრობლემა, ზოგადი იმედგაცრუების შესახებ, რაც მიემართება მოქალაქეთა სულისკვეთებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სწორი პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვის ჩამოყალიბება.

1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ ჰქონდა საჭირო საბრძოლო რესურსები, რამაც განაპირობა რესპუბლიკის დაცემა. დღესდღეობით ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების შეიარაღება და გადამზადება გამოწვევათა საპასუხოდ. გამოწვევები მრავალი შეიძლება იყოს. იცვლება საომარი მოქმედებების დიაპაზონი და ფორმა. მაგალითად, ინფორმაციული ომი ახალ გამოწვევად ჩამოყალიბდა, რომლის მიმართ სახელმწიფოს ოფიციალური პოზიცია ჯერ კიდევ ბუნდოვანია. ამგვარად, წარსულის შეცდომების გააზრება საკითხის ახლებური გადაწყვეტით უნდა შეფასდეს.

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, „სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.". აღნიშნული განმარტება ადგენს და აღიარებს სახელმწიფოს სუვერენულ საზღვრებს, რომლის ძალით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის ნორმები და საზღვრები საკანონმდებლო დონეზე უქმდება. ამ საკითხს აქვს თავისი პოლიტიკური, სამართლებრივი და ისტორიული დატვირთვა, თუმცა პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით დადგენილი საზღვრები კვლავ დაუზუსტებელია, ხოლო ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული. რაც გულისხმობს, სახელმწიფოს ცალკეულ ნიშნებს შორის ურთიერთმიმართებისა და გააზრების გამოუსწორებელ პრობლემებს, რომელთა აღმოფხვრა და სწორი რეაგირება დღემდე არ განხორციელებულა.

70-ე მუხლის თანახმად, „ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე კონსტიტუციით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს თავდაცვის ძალები.". კანონმდებელმა თავდაცვის ძალების არსებობის ერთ-ერთ მიზნად პირდაპირ განსაზღვრა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა.

ნათელია, რომ კანონშემოქმედების პროცესი 2021 წლისთვის არ ჩამოუვარდება პირველი რესპუბლიკის საპარლამენტო პროცესებს, თუმცა დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, როგორც ადრე, ისე დღეს სახელმწიფოს ძირითად „არაკონსტიტუციურ" ნიშნად გადაიქცა.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, 21/02/1921.
- ავტორთა კოლექტივი. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, შპს „პეტიტი“, 2013, 324.
- ვარდოსანიძე, სერგო / გურული, ვახტანგ / ხარაძე, კობა / ჯიქია, ლევან. საქართველოს საზღვრები (1917-1938), ნარკვევი, დოკუმენტები და მასალები, თბილისი, „მერიდიანი“, 2014, 6-10.
- ლეონიძე, „მოსაზრებები სამუსლიმანო საქართველოს სახელმწიფოებრივ კუთვნილებასთან დაკავშირებით“, მეხსიერების და დეზინფორმაციის კვლევები, IDFI, (2021).
- მაცაბერიძე, მალხაზ. საქართველოს პოლიტიკური სისტემა, თბილისი, თსუ-ის გამომცემლობა, 2019, 121.
- სილაქაძე, „როგორ შეიქმნა საქართველოში სახალხო გვარდია 1918 წელს“, ისტორიანი, №5(89), (2018) : 35-36.
- შენგელია, ჭელიძე, „1918-1921 წლების საქართველო პიტერ სკინერის წიგნში „საქართველო: მიწა კავკასიონის ქვემოთ“, შრომების კრებული, (2018) : 25-26.